

შპს „შვიდი ვაინ“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "შვიდი ვაინი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეუ ლი: 1 GEL				შენიშვნა
საანგარიშგებო პერიოდი				
	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სუ ლ:</i>				
ფუ ლადი სახსრები	4249901	2786247	1738931	
სავაჭრო მოთხოვნები	1888465	927460	543511	
ავანსები და წინასწარ ანაზ ღაუ რებუ ლი ხარჯ ები	1110917	921317	499514	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	33271	84364	3706	
მარაგები	1211540	848360	692161	3.1
სხვა მიმდინარე აქტივები	5708	4746	39	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სუ ლ:</i>				
ძირითადი საშუ ალუბები	16208	8047	9234	
არამატერიალუ რი აქტივები	14624	5759	6242	3.2
	1584	2288	2992	
სუ ლ აქტივები:	4266109	2794294	1748165	
ვალდებუ ლებები და კაპიტალი				
<i>ვალდებუ ლებები, სუ ლ:</i>				
სავაჭრო ვალდებუ ლებები	1906079	1477593	1517414	
მოკლევადიანი სესხები	1612959	1215916	1146740	3.3
საგადასახადო ვალდებუ ლებები	23070	50126	111201	
გასაცემი დივიდენდები	155088	155088	86991	3.4
სხვა ვალდებუ ლებები	114962	56463	155088	3.5
			17394	
<i>სუ ლ კაპიტალი:</i>				
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2360030	1316701	230751	
დაგროვილი მოგება / დაუ ფარავი ზ არალი	2360030	1316701	230751	
სუ ლ ვალდებუ ლებები და კაპიტალი:	4266109	2794294	1748165	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებუ ლია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

მალხაზ ტვილდიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი ვაინი"

მოგება-ზ არაღის, სხვა სრუ ლი შემოსავლის და საკუ თარი კაპიტალის ანგარიშგება


ერთეუ ლი: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2018	2017	
ამონაგები	6249160	5385400	
რეალიზ ებუ ლი პროდუ ქციის / განეუ ლი მომსახუ რების თვითღირებუ ლება	-4707908	-3800036	
მოგება ან ზ არაღი რეალიზ აციიდან	1541252	1585364	3.6
მინოდების ხარჯ ები	-1309	-67114	
საერთო და ადმინისტ რაციუ ლი ხარჯ ები	-487772	-372058	
სხვა სანარმოო დანიშნუ ლების ხარჯ ები	-1915	-5531	
სუ ლ საოპერაციო ხარჯ ები:	-490996	-444703	
საპროცენტო შემოსავალი	6948		
დადებითი საკუ რსო სხვაობები	10091	10529	
სხვა გაუ თვალისწინებელი შემოსავლები	24007	79503	
სუ ლ არასაოპერაციო შემოსავლები:	41046	90032	
ფინანსუ რი დანახარჯ ები	-3751	-6641	
უ არყოფითი საკუ რსო სხვაობები	-43634	-138089	
სხვა გაუ თვალისწინებელი ხარჯ ები	-588	-13	
სუ ლ არასაოპერაციო ხარჯ ები:	-47973	-144743	
მოგება დაბეგვრამდე:	1043329	1085950	
მოგების გადასახადის ხარჯ ი			
სუ ლ პერიოდის მოგება ან ზ არაღი	1043329	1085950	3.7
სუ ლ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრუ ლი შემოსავალი:			
სუ ლ საანგარიშგებო პერიოდის სრუ ლი შემოსავალი:	1043329	1085950	
საკუ თარი კაპიტალის სანყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1316701	230751	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზ რდა			
განაწილება მესაკუ თრებზე ე (მათ შორის დივიდენდი):			
სხვა ცვლილებები გაუ ნაწილებელ მოგებაში	1043329	1085950	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუ თარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2360030	1316701	

ფინანსუ რი ანგარიშგება დამტ კიცებუ ლია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

ე.



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსუ რი ანგარიშგების განუ ყოფილი ნაწილი.

შპს "შვიდი ვაინი"

ფუ ლადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეუ ლი: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ფუ ლადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებუ ლი ფუ ლადი სახსრები	7224865	5931263
სხვა შემოსუ ლი საოპერაციო საქმიანობიდან	2161	
მიმწოდებლებზე გაცემუ ლი ფუ ლადი სახსრები	-4767745	-4219856
გაცემუ ლი შრომის ანაზ ლაუ რება	-279521	-216925
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-1171113	-964593
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებუ ლი სხვა გაცემები	-34843	-14698
ფუ ლადი სახსრების წმინდა ნაზ რდი საოპერაციო საქმიანობიდან	973804	515191
ფუ ლადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუ ალუბებისა და არამატერიალუ რი აქტივების შეძენა	-10921	-1516
მიღებუ ლი პროცენტები	6948	
ფუ ლადი სახსრების წმინდა ნაზ რდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-3973	-1516
ფუ ლადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	675170	846896
სესხების დაფარვა	-677139	-969959
გადახდილი პროცენტები	-3751	-6641
ფუ ლადი სახსრების წმინდა ნაზ რდი საფინანსო საქმიანობიდან	-5720	-129704
ვა ლუ ტ ის კუ რსის ცვლილებებით გამონვეუ ლი ზ რდა / კლება (ნეტო)	-3106	-22
ფუ ლადი სახსრების წმინდა ნაზ რდი:	961005	383949
ფუ ლადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	927460	543511
ფუ ლადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1888465	927460

ფინანსუ რი ანგარიშგება დამტკიცებუ ლია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____ მალხაზ ტვილდიანი

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსუ რი ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი ვაინ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 30 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405130889, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ N 12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან შპს „შვიდი“ (ს/კ 211371638) - 85% და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მიხეილ მესხი (პ/ნ 01024021384)- 15%.

1.3. კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი (პ/ნ 5300100389).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საეჭვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების გარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო

ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი; 1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი; 1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

კომპანიის მარაგები 2018 წლის ბოლოს შედგებოდა:

გასაყიდი საქონელი - 847202 ლარი;

სარეკლამო მასალები - 1158 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები - 1670 ლარი.

2017 წლის ბოლოს შედგებოდა:

გასაყიდი საქონელი - 1208709 ლარი;

სარეკლამო მასალები - 1161 ლარი.

3.2. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 20541 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 9620 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 5917 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 3861 ლარი.

3.3. სავაჭრო ვალდებულებები:

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლისა არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.4. საგადასახადო ვალდებულებები:

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 23070 ლარი.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

3.5. გასაცემი დივიდენდები:

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა გასაცემი დივიდენდის ვალდებულება მისი დამფუძნებლის - შპს „შვიდის“ წინაშე დავალიანება 155088 ლარი, რიომელიც წარმოიშვა 2016 წელს მოგების განაწილებიდან.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა დასამუშავებელი მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2018 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2018 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.